www.democracyresearch.org
მარტი, 2024

საქართველო ევროპაზე

საინფორმაციო ბიულეტენი



DRI-ის საქმიანობა მარტში

- ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სახალხო დამცველის განცხადებით, აფხაზეთის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საგანგაშო მდგომარეობაა
- DRI-მ სხვისი ნივთის ჯგუფურად დაზიანების/ განადგურების სისხლის სამართლებრივ ნორმასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა
- 2024 წელს უსაფრთხოების სექტორის მიმართ პარლამენტის წევრების კითხვების რაოდენობა კვლავ კრიტიკულად დაბალია

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შეწყვიტოს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების დისკრედიტაციის კამპანია
- მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების თემა ვერ დაიხურება, რადგან ქართველი ხალხის დაკვეთა სასამართლოს გაჯანსაღება და ევროკავშირის წევრობაა
- მოსამართლეთა კონფერენციის ევროინტეგრაციის წინააღმდეგ გამოყენება დაუშვებელია

22-23 მარტს DRI-მ ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგები ჩაატარა. ტრენინგის მონაწილეები იყვნენ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მომუშავე აქტივისტები, მოქალაქეთა ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აახლოებს თუ არა აფხაზეთის სატრანსპორტო დერეფანი რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს რუსეთზე დაკისრებული სანქციების გვერდის ავლისთვის თანამშრომლობაში?

DRI თვალსაზრისში გამოთქმული მოსაზრებების გამო ხელისუფლების მხრიდან თავდასხმის ობიექტი გახდა.

DRI ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას

ცხელი ხაზი :

511 331 228